



Green
Economy
Financing
Facility



European Bank
for Reconstruction and Development

განახორციელეთ ინვესტიცია ენერჯიის სუფთა წყაროში და გარანტირებულად დაიბრუნეთ ინვესტირებული თანხა დანაზოგის სახით



თუ თქვენი ბიზნესი მოიხმარს დიდი რაოდენობით ელექტროენერჯიას, თუ გსურთ, რომ თავიდან აიცილოთ ზედმეტი გადასახადი, ისარგებლეთ GEFF დაფინანსებით განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიების შესაქენად.

პროექტის
მხარდამჭერები:



GREEN
CLIMATE
FUND

 Federal Ministry
Republic of Austria
Finance

დღეს ყველაზე ხელსაყრელი დროა მზის ენერჯიაში ინვესტირებისთვის:

- საჭირო ტექნოლოგიებსა და მონტაჟზე ისტორიულად ყველაზე დაბალი ფასი დღეს ფიქსირდება
- ახალი რეგულაციების თანახმად ნეტო-ალრიცხვის სისტემაში უკვე 500 კილოვატამდე სიმძლავრის სადგურის ჩართვაა შესაძლებელი
- ენერჯის გამომუშავებისა და ელ-ენერჯის მოხმარების ადგილი შესაძლოა სხვადასხვა ლოკაციაზე იმყოფებოდეს
- ელ-ენერჯის კომერციული ტარიფები 0.329 ლარამდე გაიზარდა, რაც ყოველთვიურ ხარჯს მნიშვნელოვნად ზრდის

მზის ენერჯია ელ-ენერჯის გენერაციის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა წყაროა. მზე იმაზე ბევრად მეტ ენერჯიას გამოსცემს, ვიდრე ჩვენ ოდესმე დაგვჭირდება. ჩვენი მიზანია ამ განახლებადი ენერჯიის წყაროს ჩვენთვის სასიკეთოდ გამოყენება.

რა უპირატესობები აქვს მზის ენერჯიაში ინვესტირებას?

- ელ-ენერჯიის ხარჯების განულება ან მნიშვნელოვნად შემცირება
- ინვესტირებული თანხის გარანტირებული დაბრუნება
- გაზრდილი ენერჯო-დამოუკიდებლობა
- გარემოსადმი გაფრთხილება და მისი დაცვა

რა ტიპის მზის ტექნოლოგიებია ხელმისაწვდომი GEFF დაფინანსებით?

- მზის წყალგამაცხელებელი სისტემები, რომლებიც მზის ენერჯიის გამოყენებით ცხელ წყალს გამოიმუშავენ
- მზის ფოტოვოლტური სისტემები, რომლებიც მზის ენერჯიას თქვენი ბიზნესისთვის გამოყენებად ენერჯიად გარდაქმნიან

რა გჭირდებათ იმისათვის, რომ მზის ენერჯიის გამოყენება დაიწყოთ?

1. **ფართი** - მზის ელექტროსადგური შესაძლოა დამონტაჟდეს, როგორც სახურავზე (რეკომენდებულია), ასევე მიწაზეც. ფართის სიდიდე დამოკიდებულია სადგურის სასურველ სიმძლავრეზე: რაც უფრო მეტია სიმძლავრე, მით მეტი ფართი იქნება საჭირო.
2. **მზის ფოტოვოლტური პანელები და ინვერტორი ან მზის წყალგამაცხელებელი სისტემა.**
3. **სანდო მომწოდებელი** - დღესდღეობით საქართველოში რამდენიმე გამოცდილი და კვალიფიციური მომწოდებელია, რომელთაც შეუძლიათ შესაბამისი ტექნოლოგიის და მომსახურების შეთავაზება.
4. **ფინანსური რესურსი**, რომელიც მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის (GEFF) ფარგლებში ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებშია ხელმისაწვდომი.

როგორ უნდა გამოითვალეთ თქვენთვის საჭირო სადგურის სიმძლავრე?

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი საწარმო ყოველწლიურად 17,000 ლარის ელ-ენერგიას მოიხმარს. მიმდინარე ტარიფის გათვალისწინებით (საშუალოდ 0.32 ლარი), თქვენ მოიხმართ 53,125 კვტ/სთ ენერგიას (17,000 ლარი/0.32 ლარი).

თუ ვიცით, რომ 1 კვტ სიმძლავრის მზის სადგური საშუალოდ 1,350 კვტ/სთ ენერგიას გამოიმუშავებს წელიწადში, თქვენი ბიზნესისთვის საჭირო მაქსიმალური დადგმული სიმძლავრე 40 კვტ-მდე იქნება (53,125 კვტ/სთ/1,350 კვტ/სთ).

40 კვტ სიმძლავრის სადგურისთვის საჭირო ფართის გამოანგარიშებისთვის, აუცილებელია ვიცოდეთ ფოტოვოლტური პანელის სიმძლავრე და ზომები. დღესდღეობით, ბაზარზე სხვადასხვა სიმძლავრის და ზომის პანელებია ხელმისაწვდომი.

ჩვენი მაგალითისთვის, გამოვიყენოთ 1.65 მX1.00 მ ზომის პანელი, რომლის სიმძლავრე 300-380 ვატამდე მერყეობს. თუ თითო პანელი 380 ვატს გამოიმუშავებს, 40 კილოვატისთვის თქვენ დაგჭირდებათ დაახლოებით 105 ცალი პანელი (40,000 ვატი/380 ვატი). პანელის ზომიდან გამომდინარე ვიცით, რომ თითოს ფართი 1.65 მ² შეადგენს. შესაბამისად, 105 პანელის განთავსებისთვის თქვენ დაგჭირდებათ დაახლოებით 173 მ² ფართი (105 ც * 1.65 მ²).

GEFF-ს აქვს დაფინანსების ორი გზა:

წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები: თუ თქვენ უკვე განსაზღვრული გაქვთ საჭირო ტექნოლოგია და პროექტის ღირებულება არ აჭარბებს \$300,000 (ან ექვ. სხვა ვალუტაში), მაშინ შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი **მწვანე ტექნოლოგიის სარჩევით**, სადაც თავმოყრილია GEFF-ის კრიტერიუმების შესაბამისი მასალები და მოწყობილობები და მიიღოთ დაფინანსება ტექნიკური შეფასების გარეშე.

უფასო ტექნიკური კონსულტაციის ფარგლებში შეფასებული ინვესტიციები: თუკი თქვენ გაქვთ პროექტი, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება, თქვენ, როგორც ჩვენი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის პოტენციული მსესხებელი, შეგიძლიათ GEFF-ის **უფასო** კონსულტაცია მოითხოვოთ, რის შედეგადაც პროგრამის ექსპერტები გააანალიზებენ თქვენს პროექტს და საუკეთესო გადაწყვეტილებებს შემოგთავაზებენ.



როგორ ვისარგებლოთ GEFF დაფინანსებით?

- I. შეარჩიეთ თანამედროვე ტექნოლოგია მწავნე ტექნოლოგიის სარჩევიდან ან პირდაპირ მიმართეთ მომწოდებელს
- II. შეაჯერეთ თქვენი პროექტის ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები
- III. მიმართეთ ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტს:
<https://ebrdgeff.com/georgia/financing>
- IV. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვეთ GEFF-ის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების უფასო ტექნიკური შეფასება
- V. მიიღეთ სესხი
- VI. დამოწმდეთ ტექნოლოგია
- VII. ისიამოვნეთ გრძელვადიანი ენერგოდანაზოგით



შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia

მომზადებულია 2021 წლის 26 მარტს